<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2020 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ჩარგლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ყაზახი განმანათლებლის, აბაის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ნაძალადევის რაიონში, ჩარგლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ყაზახი განმანათლებლის, აბაის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X=483748 Y=4626042
X=483837 Y=4625994
ᲥᲔᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ
X=483875 Y=4625097

საქართველო

39818-01-2-201910181158

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/39818
18/10/2019

ქ. თბილისის საკრებულო

გიგზავნით საქართველოში ყაზახეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ბატონი ბაურჟან მუხამეჯანოვის წერილს ქ. თბილისის საკრებულოს სახელდების და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის, ქალბატონი თინათინ ნიბლოშვილის მისამართით.

დანართი: 4 გვ.

პატივისცემით, ,
დავით კერესელიძე

დეპარტამენტის დირექტორი
აზიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტი

0118 თბილისი, შოთა ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00

Қазақстан Республикасының
Грузиядағы
Төтенше және өкілетті Елшісі

საზახეთის რესპუბლიკის
საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი
საქართველოში

Председателю
Комиссии по наименованиям и символике
Городского собрания г.Тбилиси
Тинатин Ниблошвили

Уважаемая г-жа Тинатин!

Позвольте выразить Вам благодарность за организованную встречу с представителями Посольства, в ходе которой были предварительно обсуждены вопросы относительно присвоения одной из улиц в центральных районах города Тбилиси имени выдающегося казахского писателя, поэта и мыслителя Абая Кунанбайулы.

Рады отметить, что с момента провозглашения независимости наших стран нам удалось сохранить и преумножить те традиционно дружественные и доверительные отношения, которые существовали между нашими народами тысячи лет. Сегодня благодаря взаимному уважению интересов и плодотворному взаимодействию на всех уровнях весьма динамично развивается двустороннее сотрудничество во всех сферах, увеличивается торговый оборот, растет количество туристов в обе страны, укрепляются культурно-гуманитарные контакты.

В дружной семье народов Казахстана достойно представлена и грузинская диаспора, насчитывающая несколько десятков тысяч человек. В столице нашей страны г. Нур-Султан, а также в городах Алматы и Тараз имеются улицы, названные в честь достойного представителя грузинского народа Шота Руставели, а также улицы Багратион, Батумская, Абхазская, Грузинская, Джапаридзе, Цулукидзе и др. Безусловно, данные факты являются ярким доказательством взаимного культурного обмена и служат сближению наших дружественных народов.

В 2020 году в Казахстане и на международном уровне будет широко отмечаться 175-летие со дня рождения Абая Кунанбайулы. В рамках юбилейных мероприятий значатся проведение международной научной

конференции в штаб-квартире ЮНЕСКО, организация театральных постановок, музейных экспозиций, книжных выставок, творческих конкурсов и фестивалей, айтысов, экспедиций в разных уголках мира. Кроме того, планируется переименование города Семей – родины Абая, Государственной премии в области литературы и искусства в Государственную премию имени Абая, а также создание специальных центров имени Абая за рубежом.

В этой связи, учитывая тесные политические, экономические и культурные отношения между Казахстаном и Грузией, а также огромный туристический потенциал столицы Грузии, существующие побратимские отношения между Тбилиси и Нур-Султаном, Посольство просит Вас рассмотреть возможность назвать одну из улиц Тбилиси именем великого сына казахского народа, писателя и просветителя-гуманиста Абая Кунанбайулы.

Надеемся на положительное решение.

С уважением,

Бауржан Мухамеджанов

არაოფიციალური თარგმანი

ქ. თბილისის საკრებულოს სახელდებისა და
სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

პატივცემულო ქალბატონო თინათინ!

ნება მიბოძეთ მადლობა გადაგიხადოთ საელჩოს წარმომადგენლებთან შეხვედრის ორგანიზებისთვის, რომლის დროსაც წინასწარ იქნა განხილული თბილისის ცენტრალური უბნების ერთ-ერთი ქუჩისთვის გამოჩენილი ყაზახი მწერლის, პოეტის და მოაზროვნეს აბაი კუნანბაევის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით საკითხები.

მოხარული ვართ აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქვეყნების დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე, ჩვენ შევძელით ტრადიციულად მეგობრული და სანდო ურთიერთობების შენარჩუნება და გაძლიერება, რაც ჩვენს ხალხებს შორის არსებობდა ათასობით წლის განმავლობაში. დღეს, ინტერესების ურთიერთპატივისცემისა და ნაყოფიერი ურთიერთქმედების წყალობით ყველა დონეზე, საკმაოდ დინამიურად ვითარდება ორმხრივი თანამშრომლობა ყველა სფეროში, იზრდება სავაჭრო ბრუნვა, იმატებს ორივე ქვეყნის ტურისტების რაოდენობა, ხდება კულტურული და ჰუმანიტარული კონტაქტების განმტკიცება.

ყაზახეთის ხალხის მეგობრულ ოჯახში ღირსეულად არის წარმოდგენილი ქართული დიასპორა, რამდენიმე ათობით ათასი ადამიანით. ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში, ნურ-სულთანში, ისევე როგორც ქ. ალმატაში და ქ. ტარაზში, არსებობს ქართველი ხალხის ღირსეული წარმომადგენლის შოთა რუსთაველის საპატივცემულოდ წოდებული ქუჩები, ასევე ბაგრატიონის, ბათუმის, აფხაზეთის, საქართველოს, ჯაფარიძის, წულუკიძისა და სხვა სახელობის ქუჩები. უდაოდ, მოცემული ფაქტები კულტურული ურთიერთგაცვლის ნათელი მტკიცებულებაა და ჩვენი მეგობრული ხალხის დაახლოებას ემსახურება.

2020 წელს, როგორც ყაზახეთში, ასევე საერთაშორისო დონეზე ფართოდ აღინიშნება აბაი კუნანბაევის დაბადებიდან 175 წლის იუბილე. საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში, იგეგმება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარდება იუნესკოს შტაბ ბინაში, თეატრალური დადგმების, სამუზეუმო ექსპოზიციების, წიგნების გამოფენების, შემოქმედებითი კონკურსებისა და ფესტივალების, აიტისების, ექსპედიციების ორგანიზება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. გარდა ამისა, იგეგმება ქალაქ სემეის სახელწოდების - აბაის სამშობლოდ გადაკეთება, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში სახელმწიფო პრემიის აბაის სახელობის სახელმწიფო პრემიით ჩანაცვლება, ასევე საზღვარგარეთ აბაის სახელობის სპეციალური ცენტრების შექმნა.

ამასთან დაკავშირებით, ყაზახეთსა და საქართველოს შორის მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების, ასევე საქართველოს დედაქალაქის უზარმაზარი ტურისტული პოტენციალის, თბილისსა და ნურ-სულთანს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობების გათვალისწინებით, საელჩო გთხოვთ, განიხილოთ თბილისის ერთ-ერთი ქუჩის, ყაზახეთის დიდი ვაჟის, მწერლისა და განმანათლებლის - ჰუმანისტის - აბაი კუნანბაევის სახელის წოდების შესაძლებლობა.

ვიმედოვნებთ თქვენი მხრიდან დადებითი გადაწყვეტილების მიღებას.

პატივისცემით,

ბაურჟან მუხამეჯანოვი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: 03-031933639
თარიღი: 02/12/2019
პინი: 8482

ადრესატი: საგარეო საქმეთა სამინისტრო

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

საერთაშორისო კულტურულ და ჰუმანიტარულ ურთიერთობათა
დეპარტამენტის დირექტორ
ქალბატონ ქეთევან კანდელაკს

ქალბატონო ქეთევან,

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია განიხილავს ქალაქ თბილისში მდებარე ერთ-ერთი გეოგრაფიული ობიექტისთვის ცნობილი ყაზახი პოეტისა და განმანათლებლის აბაი კუნანბაევის სახელის მინიჭების საკითხს.

აღნიშნული ინიციატივის სახელდების ნაცვალგების პრინციპების დაცვით განსახილველად გვესაჭიროება ინფორმაცია საქართველოს საელჩოდან ყაზახეთის რესპუბლიკაში.

გთხოვთ გადაუგზავნოთ აღნიშნულ საელჩოს მიმაგრებულ ფაილში მოცემული წერილი.

დანართი 1 ფურცელი.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: #########
თარიღი: 02/12/2019
პინი: ####

ადრესატი: საქართველოს საელჩო ყაზახეთის რესპუბლიკაში
მისამართი: Dip. gorodak st. C-4

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს
ყაზახეთის რესპუბლიკაში
ბატონ ზურაბ აბაშიძეს

ბატონო ზურაბ,

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში შემოსულია ყაზახეთის საელჩოს ინიციატივა, ქალაქ თბილისში ერთ-ერთი ქუჩისთვის ცნობილი ყაზახი პოეტისა და განმანათლებლის აბაი კუნანბაევის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

საელჩოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად ყაზახეთში ნურ-სულთანში, ალმატაში და ტარაზში უკვე არსებობს შოთა რუსთაველის, ბაგრატიონის, ბათუმის, აფხაზეთის, საქართველოს, ჯაფარიძისა და წულიკიძის ქუჩები. მოგახსენებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია გეოგრაფიული ობიექტების სახელდებებს ახორციელებს ნაცვალგების პრინციპის დაცვით.

გამომდინარე აქედან გთხოვთ, დაგვიდასტუროთ აღნიშნული სახელების მქონე გეოგრაფიული ობიექტების არსებობა ყაზახეთში და შესაძლებლობის ფარგლებში მოგვაწოდოთ ქუჩის სიტუაციური ნახაზები ან მიგვითითოთ ქუჩების სახელწოდებებზე იმ ფორმით, რა ფორმითაც იძენებენებიან ისინი გუგლის რუკებზე.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

საგარეო საქმეთა სამინისტრო

საქართველო

46737-01-2-201912111605

№ 01/46737
11/12/2019

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილს

ქალბატონო თინათინ,

თქვენი, 2019 წლის 2 დეკემბრის (№ 03-031933639) წერილის პასუხად, რომელიც ეხებოდა თბილისში მდებარე ერთ-ერთი გეოგრაფიული ობიექტისთვის ცნობილი ყაზახი პოეტისა და განმანათლებლის, აბაი კუნანბაევის, სახელის მინიჭების საკითხს, გიგზავნით ყაზახეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ზურაბ აბაშიძის, თქვენს სახელზე გამოგზავნილ, წერილს.

დანართი: 2 გვერდი

პატივისცემით,
მაია თუშურაშვილი

დეპარტამენტის დირექტორი მ.შ.
საერთაშორისო კულტურულ და ჰუმანიტარულ ურთიერთობათა დეპარტამენტი

საქართველოს საელჩო
ქ. ასტანა
EMBASSY OF GEORGIA
ASTANA

59379 64 3 201912091157

№ 59379-64
09/12/2019

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ **თინათინ ნიბლოშვილს**

ქალბატონო თინათინ,

2019 წლის 2 დეკემბრის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ყაზახეთის რესპუბლიკის რამდენიმე ქალაქის ქუჩები ატარებენ საქართველოსთან დაკავშირებულ სახელწოდებებს. მაგალითად: ქ. ალმატიში არის თბილისის (ул.Тбилисская), გრუზინსკაია (ул.Грузинская), წულუკიძის (ул.Цулукидзе), ჯაფარიძის (ул. Джапаридзе), აფხაზეთის (ул. Абхазская) და შოთა რუსთაველის (ул. Шота Руставели) სახელობის ქუჩები. გრუზინსკაიას (ул. Грузинская) ქუჩა ასევე არის ქ. უსტ-კამენოგორსკში. ყაზახეთის რესპუბლიკის დედაქალაქის ნურ-სულთანის ერთ-ერთი ქუჩა ატარებს შოთა რუსთაველის (ул. Шота Руставели) სახელს (აღნიშნული ქუჩების მოძიება შესაძლებელია Google-ის - https://www.google.com/maps/ და https://2gis.kz რუქებზე).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საელჩო დადებით კონტექსტში განიხილავს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისათვის ცნობილი ყაზახი პოეტისა და განმანათლებლის აბაი კუნანბაევის სახელის მინიჭებას. ვფიქრობთ საკითხის დადებითი გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას.

ამასთანავე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მივმართოთ ყაზახურ მხარეს თხოვნით ქ. ნურ-სულთანში მდებარე შოთა რუსთაველის სახელობის ქუჩაზე მისი ბიუსტის დადგმის თაობაზე.

პატივისცემით,
ზურაბ აბაშიძე

საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: 67-01192252984
თარიღი: 13/08/2019
პინი: 2824

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 05.08.2019 წლის #03-031921787 (05.08.2019წ. #19-01192172591-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი